საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/02-6331 13. 08 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

მოადგილეს ბატონ გ. ვაშაძეს

ბატონო გრიგოლ,

თქვენი ა/წლის 13 აგვისტოს №2/14012-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილით წარმოდგენილი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების", „1993 წლის 22 იანვრის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდების" და „ეკონომიკური კავშირის შესახებ 1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ცალკეული საკითხები შესაძლებელია აისახოს დსთ-ს წევრ სახელმწიფოებთან საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

პატივისცემით,

ზაზა თავაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 75-82-61, ფაქსი: 75-82-61, ელ.ფოსტა: lawmakingdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 75-82-61, Fax: 75-82-61, E-MAIL: lawmakingdep@justice.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 01-01-12/43/7699 „13" აგვისტო 2008

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 13 აგვისტოს №2/14011-14 წერილით წარმოდგენილი 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმება „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ", 1993 წლის 22 იანვრის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება და 1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულება „ეკონომიკური კავშირის შესახებ" და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხელშეკრილებებიდან საქართველოს გამოსვლის თაობაზე ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

ვაჟა პეტრიაშვილი
მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16. ტელ.: 446412. ფაქსი: 457442. ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412, Fax: 457442. E-mail: info@mof.ge